

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტვიცებელია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

საწარმოო და საცურაო პრაქტიკა

სილაბუსი

კოდი: ნდ №2-P. 0327-08

წარმოდგენილია პროფესიული განათლების
განყოფილების მიერ. სხდომის ოქმი №05, 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



სასწავლო კურსის დასახელება და კოდი	საწარმოო და საცურაო პრაქტიკა ნდ №2-P. 0327-08
სწავლების საფეხური	III საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პასუხისმგებელი განყოფილება	პროფესიული განათლების განყოფილება
სასწავლო კურსის /კომპონენტის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი	თემურ დევაძე საკონტაქტო ინფორმაცია ტელ: 593 63 21 56 ელ-ფოსტა: devadze.temuri.1961@mail.ru
დაშვების წინაპირობები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიის კომპონენტის სასწავლო კურსებში დადებითი შეფასება.
პრაქტიკის კომპონენტის მიზანი	შემძენილი პროფესიული უნარებისა და ცოდნის განმტკიცება. რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირება და პროფესიული ღირებულებების გათავისება.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> – გემის მექანიზმების, სისტემების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი მასალები; – გემის სისტემებისა და მექანიზმების ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია; – გემის შიგაწვის ძრავების ექსპლუატაციის წესები; – ვახტის გაწევის წესები სამანქანე განყოფილებაში; – ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები; – გემის მექანიზმების, სისტემების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი მასალები; – გემის მილგაყვანილობების მარკირება და დანიშნულება; – უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები სამანქანე განყოფილებაში სამუშაოდ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> – გაწიოს ვახტა სამანქანე განყოფილებაში; – მოამზადოს მუშა პროცესისათვის ენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სისტემები; – განახორციელოს სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების



	<p>მომსახურება: საზინკლო, სახარატო, საშემდუღებლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, გემის შიგაწვის პრაქტიკის, მექანიზმების, სისტემების და ორთქლის ქვაბების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.</p> <p>✓ შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგამის ყველა სახეობის ადეკვატურად, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; თავისი კომპეტენციების ფარგლებში: გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.</p> <p>დასკვნის უნარი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებების, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და და სავახტო მექანიკოსის ინფორმირება. <p>კომუნიკაციის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; - გუნდური მუშაობა ეფექტური სამუშაო ურთიერთობების დამყარება კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან; - ვახტის გაწევის პროცესში, ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს ადეკვატურად აღიქვამს ბრძანებებს და შესწევს უნარი გასცეს მოტივირებული და დასაბუთებული პასუხი. <p>სწავლის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას. <p>ღირებულებები: აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის თავისებურებებსა და მაღალ რისკ-ფაქტორს, აქედან გამომდინარე აქვს ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა.</p>
<p>სასწავლო კურსის/კომპონენტის მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლებისა და სწავლის</p>	<p>30 კრედიტი (780 საათი. 1 კრედიტი = 26 სთ)</p> <p>პრაქტიკის ხანგრძლივობა: 6 თვე</p> <p>STCW Convention, 1978, Manila Amendments. Regulation III/4 მოთხოვნის თანახმად მეზღვაურის პრაქტიკის კომპონენტის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს (24 კვირა), პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა საშუალოდ მოიცავს 32,5 საათს.¹</p>

¹ მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი, ხანგრძლივობა, კვირეული დატვირთვა შეთანხმებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან.



<p>მეთოდები</p>	<p>საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტი: საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი - საწარმოო და საცურაო პრაქტიკა - ხორციელდება „სსსც ეკვატორის“ პარტნიორი დაწესებულების შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრის“ საკუთრებაში არსებულ გემზე „კაპიტანი ო. ჩახვაძე“.</p>													
	<p>საათების რაოდენობა</p>	<p>სრული 780 სთ.</p>												
	<p>საკონტაქტო რაოდენობა</p>	<p>საათების 780 სთ. მათ შორის:</p> <table border="1" data-bbox="815 591 1426 813"> <tr> <td>I შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>II შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>III შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>IV შუალედური გამოცდა</td> <td>2 სთ.</td> </tr> <tr> <td>დასკვნითი გამოცდა</td> <td>6 სთ.</td> </tr> <tr> <td>სულ შეფასებისთვის დათმობილია</td> <td>14 სთ.</td> </tr> </table>	I შუალედური გამოცდა	2 სთ.	II შუალედური გამოცდა	2 სთ.	III შუალედური გამოცდა	2 სთ.	IV შუალედური გამოცდა	2 სთ.	დასკვნითი გამოცდა	6 სთ.	სულ შეფასებისთვის დათმობილია	14 სთ.
I შუალედური გამოცდა	2 სთ.													
II შუალედური გამოცდა	2 სთ.													
III შუალედური გამოცდა	2 სთ.													
IV შუალედური გამოცდა	2 სთ.													
დასკვნითი გამოცდა	6 სთ.													
სულ შეფასებისთვის დათმობილია	14 სთ.													
	<p>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</p>	<p>0 სთ.</p>												
	<p>სწავლების მეთოდები</p>	<p>პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უშუალოდ ასრულებენ საფეხურის ფარგლებში პროფესიული სტანდარტითა და საგანმანათლებლო პროგრამით მოთხოვნილი კომპეტენციების შესაბამის სამუშაოებსა და დავალებებს, რასაც წერილობით ასახავენ პრაქტიკის დღიურში (დანართი 1). პრაქტიკისას ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ინსტრუქტაჟი, დემონსტრირება, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.</p> <p>პრაქტიკა მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელისა და ინსტრუქტორის მეთვალყურეობით, ამ უკანასკნელს გამოჰყოფს პარტნიორი ორგანიზაცია. საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი სუბიექტი უზრუნველყოფს პრაქტიკის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი და პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების განვითარება-განმტკიცებისათვის აუცილებელ სამუშაოთა შესრულებას.</p>												



<p>შეფასების წესი</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორ უარყოფით შეფასებას, ხოლო მაჩვენებლები ასეთია:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% დამეტი; • (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა პრაქტიკის ობიექტზე დამატებითი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. <p>პრაქტიკის კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>
<p>შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები</p>	<p>პროფესიული სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის სახით.</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების შემდეგ სახეებს: <ul style="list-style-type: none"> - პრაქტიკის დღიურის წარმოება – მაქსიმალური 5 ქულა; - პასუხისმგებლობა – მაქსიმალური 5 ქულა; - თვითდისციპლინა და დისციპლინა – მაქსიმალური 5 ქულა; - კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობა – მაქსიმალური 5 ქულა; <p>შუალედური გამოცდა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირება -- 4X10=40 ქულა.</p> <p>I შუალედური გამოცდა/პრაქტიკული სავარჯიშო - საზეინკლო სამუშაოს შესრულება - 10 ქულა</p> <p>II შუალედური გამოცდა/პრაქტიკული სავარჯიშო - სახარატო სამუშაოს შესრულება - 10 ქულა</p> <p>III შუალედური გამოცდა/პრაქტიკული სავარჯიშო - საშემდუღებლო სამუშაოს შესრულება - 10 ქულა</p> <p>IV შუალედური გამოცდა/პრაქტიკული სავარჯიშო - ელექტროსამონტაჟო სამუშაოს შესრულება - 10 ქულა</p> <p>შუალედური გამოცდის პრაქტიკული სავარჯიშოს შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <p>9-10 ქულა - დავალება შესრულებულია დროულად, უშეცდომოდ. ზუსტად იცავს ინსტრუქტაჟს. სტუდენტი პროფესიულ დონეზე, ეფექტურად ახდენს შეძენილი უნარებისა და ცოდნის დემონსტრირებას; სწორად ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას; იცავს, უსაფრთხოების წესებს.</p> <p>7-8 ქულა - დავალება შესრულებულია დროში, თანმიმდევრულად, ტექნიკურად ზუსტად, იცავს ინსტრუქტაჟს, სწორად ახდენს იდენტიფიცირებას, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხარვეზები. იცავს, უსაფრთხოების წესებს.</p> <p>5-6 ქულა - დავალება შესრულებულია დროულად, თუმცა არათანმიმდევრულად.</p>



	<p>სამუშაოს შესრულებაში უშვებს შეცდომებს. შეუძლია შეძენილი უნარებისა და ცოდნის დემონსტრირება;</p> <p>1-4 ქულა - დავალება შესრულებულია არასრულყოფილად. დაშვებულია უხეში შეცდომები, არაეფექტურად ახდენს შეძენილი უნარებისა და ცოდნის დემონსტრირებას;</p> <p>0 ქულა - დავალება არ არის შესრულებული.</p> <p>პრაქტიკის დღიურის წარმოების შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none">- პროფესიული სტუდენტი სისტემატურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირეულ შესრულებულ სამუშაოს, აქვს კარგად განვითარებული წერითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - იყენებს საჭირო ტერმინებს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს - 5 ქულა- პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის დღიურის წარმოება დამაკმაყოფილებელია, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს, მიღწეულ შედეგებს. შეუძლია წერითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - 3-4 ქულა- პროფესიული სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია, უჭირს კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით - 1-2 ქულა- პროფესიული სტუდენტი არ აწარმოებს პრაქტიკის დღიურს - 0 ქულა <p>პასუხისმგებლობის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none">- საქმეს ეკიდება პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით, დავალებების შესრულებისას კარგად აქვს გაცნობიერებული პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 5 ქულა- აქვს პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 3-4 ქულა- სუსტად აქვს გაცნობიერებული პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა - 1-2 ქულა- ვერ აცნობიერებს პირად და პროფესიულ პასუხისმგებლობას - 0 ქულა <p>თვითდისციპლინა და დისციპლინის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none">- მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ. კარგად აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. ზედმიწევნით იცავს წესებსა და შინაგანაწესს, პუნქტუალურია, განუხრელად ასრულებს ინსტრუქტორის/ხელმძღვანელის ბრძანებებს - 5 ქულა- აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. იცავს წესებსა და შინაგანაწესს, ადეკვატურად ასრულებს ინსტრუქტორის/ხელმძღვანელის ბრძანებებს - 3-4 ქულა- სუსტად აქვს გაცნობიერებული ვალდებულებები, ასრულებს უხარისხოდ და არადროულად. არ გამოიჩენს პუნქტუალობითა, ინსტრუქტორის/ხელმძღვანელის ბრძანებებს ასრულებს ხარვეზებით - 1-2 ქულა- ვერ აცნობიერებს ვალდებულებათა ხარისხიან და დროულ შესრულებას. არღვევს პრაქტიკის წესებსა და შინაგანაწესს, არ გამოიჩენს პუნქტუალობით, არაადეკვატურად ასრულებს ინსტრუქტორის/ხელმძღვანელის ბრძანებებს - 0 ქულა <p>კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარის შეფასების კრიტერიუმები და ქულები:</p> <ul style="list-style-type: none">- კარგად აქვს გავითარებული გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია ეფექტური სამუშაო ურთიერთობების დამყარება კოლეგებთან და
--	---



ხელმძღვანელებთან, აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციური მოვალეობების შესასრულებლად, ადეკვატურად აღიქვამს ვახტის გაწევის დროს ბრძანებებს. შეუძლია მოტივირებული და დასაბუთებული პასუხის გაცემა, ეფექტური ზეპირი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე - **5 ქულა**

- აქვს გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია სამუშაო ურთიერთობების დამყარება კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან, აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციური მოვალეობების შესასრულებლად, ადეკვატურად აღიქვამს ვახტის გაწევის დროს ბრძანებებს. შეუძლია მოტივირებული და დასაბუთებული პასუხის გაცემა, ზეპირი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე - **3-4 ქულა**

- სუსტად აქვს გუნდური მუშაობის უნარი განვითარებული, უჭირს სამუშაო ურთიერთობების დამყარება კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან, არასაკმარისად ფლობს სტანდარტულ ინგლისურ ფრაზებს ფუნქციური მოვალეობების შესასრულებლად, არაადეკვატურად აღიქვამს ვახტის გაწევის დროს ბრძანებებს, უჭირს პასუხების გაცემა, დასაბუთება, ზეპირი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე - **1-2 ქულა**

- არ აქვს გუნდური მუშაობის უნარი განვითარებული, არ ფლობს სტანდარტულ ინგლისურ ფრაზებს ფუნქციური მოვალეობების შესასრულებლად, არაადეკვატურად აღიქვამს ვახტის გაწევის დროს ბრძანებებს, უჭირს პასუხების გაცემა, არ შეუძლია ზეპირი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე - **0 ქულა**

შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს.

პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ ყველა შუალედურ გამოცდაზე მიღებული აქვს დადებითი შეფასება.

- დასკვნითი გამოცდა/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება - 40 ქულა;

დასკვნითი გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს შემდეგი კომპეტენციების დემონსტრირება:

1	სამუშაო ადგილის, იარაღების და მოწყობილობების მომზადება	0-2
2	უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვა რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისას	0-2
3	საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებები, ვიზუალური და სმენითი დაკვირვება, პრობლემის იდენტიფიცირება, სავახტო მექანიკოსის ინფორმირება	0-2
4	შიგაწვის ძრავების გაწმენდა, გარეცხვა, მარკირება, დეტალების დეფექტაცია	0-2
5	გემის შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	0-2
6	გემის მექანიზმების დაშლა, დეფექტაცია, გაუმართაობების თავიდან აცილება	0-2
7	კომპრესორების, კონდენსატორების, საპოხი ღრიჭოს რეგულირება	0-2
8	გემის მექანიზმების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	0-2
9	ორთქლის ქვაბების გასუფთავება და ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	0-2
10	მუშა პროცესისათვის ენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სისტემების მომზადება	0-2



	<table border="1"> <tr> <td>11</td> <td>სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>12</td> <td>განგაშის სახეობების ადეკვატურად მოქმედება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>13</td> <td>სამაშველო კანჯოს მართვა</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>14</td> <td>ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით სარგებლობა</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>15</td> <td>კოლექტიური სამაშველო საშუალებების გამოყენება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>16</td> <td>გემის გადარჩენის ტექნიკური და ავარიული საშუალებებისა და ინვენტარის გამოყენება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>17</td> <td>ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>18</td> <td>გემის გადარჩენის სამაშველო ინვენტარის გამოყენება</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>19</td> <td>ვახტის გაწვევა სამანქანე განყოფილებაში</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td>20</td> <td>ნარჩენების უტილიზაცია</td> <td>0-2</td> </tr> <tr> <td></td> <td>0- არადამაკმაყოფილებელი 1- დამაკმაყოფილებელი 2- კარგი</td> <td>40 ქულა</td> </tr> </table> <p>დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს 21 ქულას.</p> <p>პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა წარმოებს კომისიასთან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანებით. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების პედაგოგი, მოწვეული სპეციალისტი, დარგის ექსპერტი, დამსაქმებელი ან ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.</p>	11	სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება	0-2	12	განგაშის სახეობების ადეკვატურად მოქმედება	0-2	13	სამაშველო კანჯოს მართვა	0-2	14	ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით სარგებლობა	0-2	15	კოლექტიური სამაშველო საშუალებების გამოყენება	0-2	16	გემის გადარჩენის ტექნიკური და ავარიული საშუალებებისა და ინვენტარის გამოყენება	0-2	17	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენება	0-2	18	გემის გადარჩენის სამაშველო ინვენტარის გამოყენება	0-2	19	ვახტის გაწვევა სამანქანე განყოფილებაში	0-2	20	ნარჩენების უტილიზაცია	0-2		0- არადამაკმაყოფილებელი 1- დამაკმაყოფილებელი 2- კარგი	40 ქულა
11	სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება	0-2																																
12	განგაშის სახეობების ადეკვატურად მოქმედება	0-2																																
13	სამაშველო კანჯოს მართვა	0-2																																
14	ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით სარგებლობა	0-2																																
15	კოლექტიური სამაშველო საშუალებების გამოყენება	0-2																																
16	გემის გადარჩენის ტექნიკური და ავარიული საშუალებებისა და ინვენტარის გამოყენება	0-2																																
17	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენება	0-2																																
18	გემის გადარჩენის სამაშველო ინვენტარის გამოყენება	0-2																																
19	ვახტის გაწვევა სამანქანე განყოფილებაში	0-2																																
20	ნარჩენების უტილიზაცია	0-2																																
	0- არადამაკმაყოფილებელი 1- დამაკმაყოფილებელი 2- კარგი	40 ქულა																																
<p>პრაქტიკის შინაარსი</p>	<p>პრაქტიკას წინ უძღვის პროფესიული სტუდენტის შესავალი-ინსტრუქტაჟი. პრაქტიკამდე პროფესიული სტუდენტი ეცნობა თავის უფლებებსა და მოვალეობებს (დანართი 2). პრაქტიკის ხელმძღვანელი აწვდის შესაბამის საწყის ინფორმაციას:</p> <ul style="list-style-type: none"> - გემზე უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ; - სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მოვალეობებისა და ფუნქციების შესახებ. - გემებზე უსაფრთხო მუშაობის ორგანიზების შესახებ. - მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ; - პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის/სამუშაო გეგმის შესახებ; - დღიურის წარმოების წესის შესახებ; - პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. <p>პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ფარგლებში შესასრულებელი ყველა ამოცანის შესრულებას/საქმიანობას წინ უძღვის პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება-ინსტრუქტაჟი, რის შემდეგ პროფესიული სტუდენტები უშუალოდ ასრულებენ ინსტრუქტაჟის შესაბამის კონკრეტულ დავალებებს/ამოცანებს.</p> <p>გემის მოწყობილობა და უსაფრთხოების ელემენტები</p> <p>გემის გაცნობა და დახასიათება: მთავარი ზომები, კორპუსის აკრეფის სისტემა; საწვავის, ზეთის და წყლის სათავსოები მათი მოწყობილობები და ტევადობები, ფორპიკი, ახტერპიკი და კოფერდამი. ლაზები, ხახები, საზომი და სავენტილაციო მილები; მექანიზმების განლაგება სამანქანე განყოფილებაში; კოლექტიური სამაშველო საშუალებები, მოწყობილობა, დანიშნულება და წყალში ჩაშვების თანმიმდევრობა, მუშაობა სამაშველო ნავთან, ბრძოლა გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის, გემის განგაშის განრიგი. უსაფრთხო ვახტის</p>																																	



ორგანიზების წესები სამანქანე განყოფილებაში, სამანქანე ვახტა, ვახტის გაწევა ცურვის სხვადასხვა პირობებში, სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მოვალეობები.

მთავარი და დამხმარე ძრავა. სიმძლავრე, ბრუნვის სიხშირე, მუშაობის პრინციპი. სამაცივრო დანადგარები და ჰაერის კონდინცირების სისტემა, დანიშნულება, შემადგენლობა, ძირითადი პარამეტრები. გემის კორპუსი. სატვირთო, საცხოვრებელი და სამუშაო სათავსოები. კორპუსისა და ხრახნის ძირითადი მონაცემები. სათავსოებისა და ტიხრების განლაგება. საჭის, ღუზის, გემსაბლის, სატვირთო, ბუქსირის და სამაშველო საშუალებები. ლუკების სახურავების მოწყობილობა და სისტემები. მათი დანიშნულება, ტიპი, ტექნიკური მონაცემები, პრინციპული სქემა, მოქმედების პრინციპი.

საზეინკლო საამქრო

საზეინკლო საამქროს მოწყობილობები და სამარჯვები. დანიშნულება, გამოყენების წესები. საბურღი და სახეხი ჩარხების, დაზგების, გირაკების, მილსადუნავების, ბერკეტული მაკრატელების მომსახურების უსაფრთხოების ტექნიკა. საზეინკლო საქმეში გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები, მოწყობილობები, მათი დანიშნულება და გამოყენების ტექნიკა; გაზომვები, სიბრტყითი და სივრცითი მონიშვნა. ლითონების ჩეხვა. ჩეხვის ტექნიკა და ხერხები. მოქლიბვა, ბურღვა. ძნელად დასამუშავებელი შენადნობების, პლასტმასების, დეტალების გაბურღვა. ლითონების ჭრა. მოქლონური შეერთება. ლითონის გასწორება და გამართვა. ხეწვა. რჩილვა, კალვა, შეწესება. ლითონების ღუნვა. მილგაყვანილობის სამუშაოები. მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოები.

შუალედური გამოცდა

სახარატო საამქრო

სახარატო, საფრეზ, საბურღავ, სარანდავ და მექანიკურ ჩარხებზე. უსაფრთხოების ტექნიკა მომსახურების პროცესში. ღუნვა. ლითონების ჭრა. გარე, ცილინდრული და ტორსული ზედაპირების დამუშავება. ლითონის ჩამოჭრა. ცილინდრული დეტალის დაცენტრება, ხვრელების დამუშავება და ზედაპირების მოპირკეთება. ხრახნკუთხვილის მოჭრა. ფრეზვა.

შუალედური გამოცდა

საშემდულებლო საამქრო

შედულების აგრეგატის მომსახურება. მოწყობილობა და დანიშნულება. უსაფრთხოების ტექნიკის წესები შესადულებელი სამუშაოების წარმოების დროს გემზე. ხელით რკალური შედულების ტექნიკა. ელექტროდით მანიპულირების ტექნიკა. დიდი სისქის ლითონების შედულება. შენადუდი შეერთებების ხარისხის კონტროლი.

შუალედური გამოცდა

ელექტროსამონტაჟო საამქრო

უსაფრთხოების ტექნიკისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესები ელექტროდენით დაშავების შემთხვევაში. ელექტროსაზომი ხელსაწყოების სახეები და მათი მომსახურება; ელექტრომომხმარებლების (ნათურების) მიმდევრობითი, პარალელური და შერეული შეერთება.



	<p>ელექტრომომწოდებლობის რემონტის ორგანიზაცია; ელექტრული გენერატორების მომსახურება ტრანსფორმატორების მომსახურება</p> <p>შუალედური გამოცდა</p> <p>გემების შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. უსაფრთხოების ტექნიკა გემების შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დროს. ძრავის დაშლისათვის სამუშაო ადგილის მომზადება. სამონტაჟო ინსტრუმენტი და სამარჯვები. მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის ცენტრირებისა და ზეთის ღრეჩობის აზომვა. ღრეჩობის განსაზღვრა აირგანაწილების მექანიზმში და რევერსული გაშვების სისტემაში. მილგაყვანილობიდან საკონტროლო მზომი ხელსაწყოების მოხსნა. კვანძებად და დეტალებად ძრავის დაშლა. გაწმენდა, გარეცხვა, მარკირება, დეტალების დეფექტაცია და მათი რემონტი. დგუმის კომპლექტების, ბარბაცების და მუხლა ლილვების რემონტი. საკისრების, ცილინდრების მილისების, გამანაწილებელი ლილვების რემონტი. სარქველების აღდგენა. ფრქვევანების და პრეციზიული წყვილების (ყვინთა-მილისი, უნაგირა-სარქველი, ნემსი საფრქვევი) ძრავის საწვავის ტუმბოების რემონტი. საწვავის ტუმბოების და ფრქვევანების რეგულირება და გამოცდა. გემის შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურება.</p> <p>გემების შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. უსაფრთხოების ტექნიკა გემების შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დროს. ძრავის დაშლისათვის სამუშაო ადგილის მომზადება. სამონტაჟო ინსტრუმენტი და სამარჯვები. მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის ცენტრირებისა და ზეთის ღრეჩობის აზომვა. ღრეჩობის განსაზღვრა აირგანაწილების მექანიზმში და რევერსული გაშვების სისტემაში. მილგაყვანილობიდან საკონტროლო მზომი ხელსაწყოების მოხსნა. კვანძებად და დეტალებად ძრავის დაშლა. გაწმენდა, გარეცხვა, მარკირება, დეტალების დეფექტაცია და მათი რემონტი. დგუმის კომპლექტების, ბარბაცების და მუხლა ლილვების რემონტი. საკისრების, ცილინდრების მილისების, გამანაწილებელი ლილვების რემონტი. სარქველების აღდგენა. ფრქვევანების და პრეციზიული წყვილების (ყვინთა-მილისი, უნაგირა-სარქველი, ნემსი საფრქვევი) ძრავის საწვავის ტუმბოების რემონტი. საწვავის ტუმბოების და ფრქვევანების რეგულირება და გამოცდა. გემის შიგაწვის ძრავების ტექნიკური მომსახურება.</p> <p>გემის მექანიზმის ტექნიკური მომსახურება და რემონტი უსაფრთხოების ტექნიკა გემის დამხმარე მექანიზმების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დროს. დაშლა, დეფექტაცია, გაუმართაობების თავიდან აცილება. დგუმბანი, ცენტრიდანული, გრიგალური, როტაციული და ჭავლური ტუმბოების აწყობა. ტუმბოების რემონტის შემდეგი გამოცდა, სრიალის საკისრების რემონტი, ზეთის ღრეჩოს რეგულირება, კომპრესორების, კონდენსატორების, გამომშრობის და თბომომოცვლების სისტემების რემონტი. სამაცივრო დანადგარების დაშლა დეფექტაცია, გაუმართაობების თავიდან აცილება და აწყობა. წყლისა და საწვავის სეპარატორების დაშლა, დეფექტაცია გაუმართაობების თავიდან აცილება, რემონტი და აწყობა. ვაკუმირება და ფრეონით ან ამიაკით დანადგარის შევსება.</p> <p>გემის სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. გემის სისტემის ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების ტექნიკა. მილგაყვანილობის დაშლა და მათი დეფექტაცია. მილგაყვანილობის კოროზიული</p>
--	--



	<p>და ეროზიული რღვევის დადგენა. მილგაყვანილობის ცალკეული უბნების შეცვლა. ჩამჭედი სარქველებისა და კლინიკური ჩამკეტების დამუშავება დეფექტაცია და აწყობა. მილგაყვანილობის დაყენება და რემონტის შემდეგი სისტემის გამოცდა.</p> <p>გემების ორთქლის ქვაბების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. უსაფრთხოების ტექნიკა ორთქლის ქვაბების სარემონტო-ტექნიკურ მომსახურების დროს. ქვაბის გაწმენდა. მილების დახშობა, შეცვლა და ვალცვლა. აგურის ამონაგისა და საცეცხლურის მოწყობილობის მილგაყვანილობის, ფრქვევანებისა და თბოიზოლაციის რემონტი. გემის ქვაბების ტექნიკური მომსახურება.</p> <p>მთავარი და დამხმარე ძრავა. უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები. დანადგარის მომსახურების საფუძვლები: გაშვება, მუშაობის პროცესის კონტროლი, გაჩერება.</p> <p>მთავარი ძრავის მომზადება, გაშვება და გაჩერება დიზელების მომსახურება მუშაობისა და დგომის პროცესში; სატვირთო, ბალასტური და ამომშრობი სისტემები, საჭის მანქანის მომსახურება; ჰიდრაულიკური ამძრავების და ძრავების მომსახურება; საღუბე, მისაბმელი და ტვირთამწე საშუალებების მომსახურება; გამამტკნარებელი მოწყობილობის მომსახურება; ლილვგაყვანილობა, ლილვგაყვანილობის საკისრები, დეიდვუდური მოწყობილობა, წვეის ხრახნი, ქვაბები, მათი მოწყობილობა, მომზადება, გაშვება და გაჩერება, წყლის დამუშავება და კონტროლი;</p> <p>გემის ელექტროსადგური, ელექტროენერჯის წყაროები, ელექტროენერჯის მომხმარებლები, მთავარი და დამხმარე, გამანაწილებელი დაფა და ავარიულ გამანაწილებელი დაფა და მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები, საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები. გემის ელექტროსადგურში ხანძართან და წყალთან ბრძოლის საშუალებები.</p> <p>დასკვნითი გამოცდა</p>
--	--



შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“	
პრაქტიკის დღიური	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	_____
პრაქტიკის ხელმძღვანელი	_____
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	_____
პრაქტიკის პერიოდი	_____



პრაქტიკის მიზნები და შინაარსი

<p>პრაქტიკის მიზანი</p>		
<p>პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შინაარსი</p>		
<p>თარიღი</p>	<p>შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>



პრაქტიკის დღიურის წარმოების ინსტრუქცია

დღიური პროფესიული სტუდენტისათვის წარმოადგენს პრაქტიკის განმავლობაში მის მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ აუცილებელ მასალას. მასში აისახება პრაქტიკის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში შეძენილი ცოდნა და კომპეტენცია. პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით, პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში? პროფესიულმა სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო საწარმოო პრაქტიკის პროცესში.

დღიურის შევსება წარმოებს რეგულარულად და სუფთად.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პერიოდულად წარუდგინოს დღიური პრაქტიკის ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს.

დღიურში ჩანაწერები შესრულებული უნდა იყოს ხელით.

პრაქტიკის დამთავრებისას პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს დღიური ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს.



შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“



პრაქტიკის შესავალი ინსტრუქციის გაცნობისა და შეთანხმების ფურცელი

ქ. ბათუმი

„----“ „-----“ 20 ---- წ.

მე, -----,
(პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი)

(პროგრამის დასახელება)

პროგრამის სტუდენტი, ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი პრაქტიკის პროგრამას და ვიცი ჩემი მოვალეობები პრაქტიკის განმავლობაში;
2. განმემართა შრომის უსაფრთხოების წესები;
3. განმემართა ეთიკის ნორმები და ქცევის წესები;
4. განმემართა კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობის შესახებ;
5. განმემართა ჩემი უფლებები, ვალდებულებები და სრულიად მაქვს გაცნობიერებული ის სამართლებრივი პასუხისმგებლობა რაც შეიძლება დამეკისროს ჩემს მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ან ობიექტისათვის მიყენებული ზიანის გამო.

ხელმოწერა -----



პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



შეთანხმების ფურცელი

შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება

საწარმოო და საცურაო პრაქტიკა გემზე

კოდი: ნდ №2-P. 0327-08
სილაბუსი

დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება—ხარისხის სისტემის სამსახური

დოკუმენტის შემსრულებელი მექანიკოსი

თ. დევაძე

შეთანხმება

№	შეთანხმებლის თანამდებობა, სახელი და გვარი	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა
1	პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი				
2	ხარისხის სისტემის მენეჯერი				
3					
4					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

(ხელმოწერა, სახელი, გვარი)

თარიღი